

სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის შესახებ  
თანამედროვე ქართულში

სუბიექტური მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვი თანამედროვე ქართულში სამი სუფიქსით აღინიშნება: -ა (გააკეთ-ა, ააშენ-ა...), -ს (აკეთებ-ს, აშენებ-ს...) და -ო (ააგ-ო, შეაქ-ო...). ეს სუფიქსები განაწილების თვალსაზრისით საინტერესო სურათს ქმნიან. მიუთითებენ, რომ „აღნიშნული ალომორფები, არსებითად, მწკრივთა მიხედვით ნაწილდებიან — ყოველ მწკრივში თითო ალომორფია წარმოდგენილი. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ აწმყო, მყოფადი და წყვეტილი, თითოეულ მათგანში ორ-ორი ალომორფია წარმოდგენილი“<sup>1</sup>. მაგრამ, თუ აწმყო-მყოფადში -ა და -ს სუფიქსების გამოყენების არე მკაცრად არის განსაზღვრული — სადაც გვაქვს ერთი, იქ არ შეიძლება შეგვხვდეს მეორე და პირიქით, ამას ვერ ვიტყვით ნამყო ძირითადის შესახებ. მართალია, არსებითად აქაც იგივე ვითარება დასტურდება -ა და -ო სუფიქსთა განაწილების თვალსაზრისით (მაგ.: ააშენ-ა, გააკეთ-ა, გათბ-ა, მოკვდ-ა... შეაქ-ო, აიღ-ო, გაათბ-ო, ეძმ-ო...), მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ზმნა ნამყო ძირითადში დაირთავს როგორც -ა, ასევე -ო სუფიქსს: **დარგა//დარგო, მორწყა//მორწყო, მიუზღა//მიუზღო**<sup>2</sup>. ფორმათა ამგვარი პარალელიზმი ძირითადად ახალი ქართულის შენაძენია.

პარალელურ ფორმათა არსებობა თავისთავად სვამს ერთ-ერთი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების საკითხს, რის გადასაწყვეტადაც, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რა კანონზომიერებას ემყარება ამ სუფიქსთა გამოვლენა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 57.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 430; ა. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

<sup>3</sup> -ო სუფიქსი გარდა ნამყო ძირითადისა, გვხვდება აგრეთვე გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითში, მაგრამ, რადგანაც ამგვარ ზმნათა მეორე თურმეობითის

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ -ო სუფიქსი მეორეულია და მიღებულია -ა სუფიქსის ფუძისეულ ვ-სთან შერწყმის შედეგად: „ამოსავალი ფონეტიკური ვითარება იყო (ვ-ს მეზობლობა), მაგრამ შემდგომ -ო ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც გაუჩნდა, — ყველგან -ა-ს ადგილას“<sup>4</sup>. მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ -ო სუფიქსი -ა და -ხ სუფიქსთა გვერდით ამჟამად დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობაა და მისი გამოვლენა არ არის შეპირობებული ფონეტიკური ფაქტორით; უფრო სწორად, ამჟამად -ო არ შეიძლება მივიჩნიოთ ფონეტიკური პროცესის პროდუქტად<sup>5</sup>.

-ო სუფიქსთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს: „არის ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც მხოლოდობითში -ა-ს ნაცვლად -ო მოუღის. ამ ზმნების ფუძე უმეტესად უმარცვლოა და შედგება ერთი, ორი ან სამი თანხმოვნისაგან. ორთანხმოვნისებში მეორე, ხოლო სამთანხმოვნისებში მესამე შეიძლება იყოს უმარცვლო უნისაგან მიღებული ვ“<sup>6</sup>. შენიშვნა სწორია, მაგრამ ამგვარი განმარტება ვერ მოგვეცემს პასუხს კითხვაზე, თუ რატომ გვაქვს -ა სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ისეთ ზმნებთან, როგორცაა გაუ-შვ-ა, გამოა-რთვ-ა, ჩაა-ცვ-ა, შე-ხვ-ა, თქვ-ა და სხვა (ყველა მათგანის ფუძე უმარცვლოა და უმეტესად ბოლოკიდური თანხმოვანი — უმარცვლო უნისაგან მიღებული); ანდა — რატომ გვაქვს პარალელური წარმოება -ა და -ო სუფიქსებით, რაზეც, როგორც აღვნიშნეთ, თვით ა. შანიძეც მიუთითებს.

ფაქტობრივი მასალის მონაცემები გვიდასტურებს, რომ უხმოვნო ფუძის მქონეობა არ არის საკმარისი პირობა ნამყო ძირითადში სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის გამოვლენისათვის. უმარცვლო ფუძესთან ერთად აუცილებელია სუბიექტური პირველი და მეორე პირის ფორმებში ნამყო ძირითადის მაწარმოებლად წარმოდგენილი იქნეს -ე სუფიქსი. ამგვარად, ნამყო ძირითადში სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის არსებობისათვის ორი პირობაა აუცილებელი: ა) ფუძე (მხედველობაში გვაქვს მარტივი ფუძე) უნდა იყოს უმარცვლო და

ფორმები „მთლიანად ემთხვევა დინამიკური ენების ორპირიანი ზმნის წვეტილს, ენით წარმოებულს, და იზიარებს ყველა მის თვისებებებს“ (ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 438), -ო სუფიქსზე მსჯელობისას მიმოვიხილავთ მხოლოდ ნამყო ძირითადის ფორმებს; დასკვნები, რა თქმა უნდა, გავრცელდება მეორე თურმეობითის სათანადო შემთხვევებზეც.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 659.

<sup>5</sup> ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, [ვ], [უ], [უა] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში; მრავალთავი, III, თბილისი, 1973, გვ. 77.

<sup>6</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

ბ) ნამყო ძირითადის მაწარმოებელი — ე სუფიქსი. ეს კანონზომიერება ჩანს:

ავა-გ-ე	გავა-თბ-ე	დავა-ტკბ-ე	დავა-ფრთხ-ე
აა-გ-ე	გაა-თბ-ე	დაა-ტკბ-ე	დაა-ფრთხ-ე
აა-გ-ო	გაა-თბ-ო	დაა-ტკბ-ო	დაა-ფრთხ-ო

თუ ამ პირობათაგან ერთ-ერთი არ არის დაცული, მაშინ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ნამყო ძირითადში -ა სუფიქსი იქნება წარმოდგენილი:

ა) გვაქვს უმარცვლო ფუძე, მაგრამ ნამყო ძირითადს ი ელემენტი აწარმოებს:

დავა-ბ-ი	გავუ-შვ-ი	ვ-თქვ-ი
დაა-ბ-ი	გაუ-შვ-ი	თქვ-ი
დაა-ბ-ა	გაუ-შვ-ა	თქვ-ა

ბ) ნამყო ძირითადის მაწარმოებელი არის -ე სუფიქსი, მაგრამ ფუძე მარცვლოვანია:

გავ-თალ-ე	ავა-შენ-ე	მოვი-გონ-ე	შეე-კრიბ-ე
გა-თალ-ე	აა-შენ-ე	მოი-გონ-ე	შე-კრიბ-ე
გა-თალ-ა	აა-შენ-ა	მოი-გონ-ა	შე-კრიბ-ა

მაგრამ სალიტერატურო ქართულში დასტურდება შემთხვევები, როცა სუბიექტურ მესამე პირს -ო სუფიქსი გამოხატავს, აღნიშნული ორი პირობა -ო-ს გამოვლენისა კი არ არის დაცული. როგორც აღვნიშნეთ, ისეთი ფაქტებიც გვხვდება, როცა ერთი და იმავე ზმნის სუბიექტურ მესამე პირში პარალელურად -ა და -ო სუფიქსებია წარმოდგენილი. ჩვენი მსჯელობა ამგვარი გამოჩაქვების ახსნას ვარაუდობს.

1. ყავ ფუძის შემცველი როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური ფორმები ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირის ფორმებს უნიშნოდ (resp. ი ელემენტით) იწარმოებს:

ვი-ყავ-(ი)	უარ-ვ-ყავ-(ი)
ი-ყავ-(ი)	უარ-ყავ-(ი)

მესამე პირში მოსალოდნელი ი-ყვ-ა, უარ-ყვ-ა ფორმათა ნაცვლად იყო, უარ-ყო ფორმებია ნორმატული. მიუთითებენ, რომ ო ვა კომპლექსის შერწყმის შედეგადაა მიღებული<sup>7</sup>. სალიტერატურო ქართულში

7 ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბილისი, 1971, გვ. 138. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ო-ვა პროცესის

ლი ენის უძველეს ძეგლებში მხოლოდ **ო** ხმოვნინი ფორმებია დადასტურებული. ფონეტიკური პროცესის საფუძველზე წარმოქმნილი **ო** სუფიქსად იქნა გაზარებული. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ კანონზომიერების ძალით (**-ო** გულისხმობს პირველ და მეორე პირში **-ე** სუფიქსს) დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირის ფორმები **-ე** სუფიქსით არის ნაწარმოები: **უარ-ვ-ყვ-ე, უარ-ყვ-ე** (ნაცვლად ფორმებისა: **უარვყავ(ი), უარყავ(ი)**). მოვლენა სალიტერატურო ენაშიც იჩენს თავს:

პირველმა მე უარვყვე მისი დებულებები (**ო. ჩხეიძე**).

როგორც ვხედავთ, ისტორიულად ფონეტიკურ საფუძველზე მიღებულმა ამჟამად ნორმატიულმა სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსიანმა ფორმამ „პარადიგმის გასწორების“ მიზნით ენაში უმართებულო ფორმათა გაჩენა გამოიწვია. თავისთავად ფაქტი **-ო**-ს გამოვლენისათვის საჭირო პირობათა პრინციპულ დასაბუთებად გვესახება.

2. სალიტერატურო ენაში ასახვა პოვეს ისეთმა ფორმებმა, როგორცაა: **გაგიშო** (გაგიშვა), **ჩაიცო** (ჩაიცვა), **გამოართო** (გამოართვა)...

რომ გაგიშო, ჩემი სულიც თან უნდა გაგაყოლო (**ილია**).

არც მწვადი დასწო და არც შამფური (**ილია**).

იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზე (**ილია**).

ჩაიცო ტანთა (**ვაჟა**).

ბუერით წყალი შეასო (**რ. ერისთ.**).

კუს მოეწო ძლიერ კანი (**რ. ერისთ.**).

დაკოდილს ხელი მოუსო (**რ. ერისთ.**).

გამოართო მღვდელს მეტრიკული მოწმობა (**ე. ნინოშვი.**).

ხარო, ხარი ვინ დაგარქო? (**ხალხ.**).

წარმოდგენილი ზმნები ნამყო ძირითადს **ი** ელემენტით იწარმოებს და, ამდენად, არაა მოსალოდნელი სუბიექტური მესამე პირის ნიშნად **-ო** სუფიქსი. მსგავსი ფორმები ძირითადად XIX საუკუნის მწერალთა ენისთვისაა დამახასიათებელი და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით აშკარა დიალექტიზმებია: ყველა შემთხვევაში **ო -ა** სუფიქსის **ვ**-სთან შერწყმის შედეგია, ფაქტი მოქმედი ფონეტიკური პროცესის ასახვაა. საანალიზო ფორმათა უმართებულობის მტკიცება **-ო**

მხოლოდ ფონეტიკურ ნიადაგზე ახსნა ალბათ გაჭირდებოდა. ვფიქრობთ, პროცესს იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ ტიპის ფუძეებთან (მხედველობაში გვაქვს მესამე პირის არასრული ფუძე **ყვ**) **-ო** სუფიქსიც გვექონდა. ამ მოსაზრებისათვის ღირსსაცნობია ხევსურული დიალექტის ჩვენება: **ვა—ო** პროცესი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ხევსურულში (**ა. ჭინჭარაული**, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი, 1960, გვ. 17), მაგრამ **იუო** ზნა **იუვა** ფორმითაა წარმოდგენილი: ხევსურულმა სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსი არ იცის!

სუფიქსის გამოვლენისათვის საჭირო პირობათა გათვალისწინებითაც ხერხდება: მართალია, ნამყო ძირითადში უმარცვლო ფუძეა წარმოდგენილი, მაგრამ ნაკვთის მაწარმოებლად არა გვაქვს -ე სუფიქსი.

3. გამოიყოფა ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომელთა ფუძეში ვ თანხმოვანი არ არის, ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირის ფორმები უნიშნოა ან ი ელემენტს დაირთავს და მესამე პირის ნიშნად -ო სუფიქსი გვაქვს:

შევი-პყარ-(ი) — შეი-პყარ-(ი) — შეი-პყრ-ო

შევი-გრძენ-(ი) — შეი-გრძენ-(ი) — შეი-გრძნ-ო

ვი-ცან-(ი) — ი-ცან-(ი) — ი-ცნ-ო

მოვა-სწარ-(ი) — მოა-სწარ-(ი) — მოა-სწრ-ო

ჩავ-ფალ-(ი) — ჩა-ფალ-(ი) — ჩა-ფლ-ო

შევი-ძელ-(ი) — შეი-ძელ-(ი) — შეი-ძლ-ო

მივა-გენ-(ი) — მია-გენ-(ი) — მია-გნ-ო

გამოვა-კელ-(ი) — გამოა-კელ-(ი) — გამოა-კლ-ო

დავა-მყენ-(ი) — დაა-მყენ-(ი) — დაა-მყნ-ო და სხვა.

სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის არსებობა ამ ფორმებში ფონეტიკურ საფუძველზე ვერ აიხსნება. ამ ტიპის ზმნებს ძირითადად ძველ ქართულში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად -ა სუფიქსი მოუდიოდა: შეიპყრ-ა, იგრძნ-ა, იცნ-ა... -ა სუფიქსის -ო-თი შენაცვლებას ვერც „ააგო“ ტიპის ზმნათა ანალოგიას მივაწერთ: ამგვარი რამ არ მომხდარა ამ ტიპის (ფუძეკუშშვად) ზმნათა დიდ უმრავლესობაში — მო-ხნ-ა, შე-კრ-ა, მო-კლ-ა, და-ხრ-ა...

საკითხის ასახსნელად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ახალ ქართულში განსახილველ ზმნებს პირველ და მეორე პირში ნულოვანი (resp. ი- ელემენტიანი) წარმოების პარალელურად -ე სუფიქსიანი ფორმები გაუჩნდა: შევი-პყრ-ე, ვი-გრძნ-ე, შევი-ძლ-ე, მოვა-სწრ-ე, მივა-გნ-ე, ვი-ცნ-ე, ჩავ-ფლ-ე, გამოვა-კლ-ე...

ცად ა ღ ა პ ყ რ ე ხელი წყვილი (ს. ჩიქ.).

შ ე ი ც ნ ე, მოამე ნამდვილი თურბე რუსეთშიც გყოლია (ს. ჩიქ.).

ვამე, შეილო, თუ მშიერმა, მწყურვალმა და ხელმეორედ დაობლებულმა უცხო სახლში ვერ გასძლე და დამიჭლქედი (გვ. გაბ.).

იფიქრე, იფიქრე ბედნიერებაზე, თუკი ერთ ნიშანს მაინც მივაგანეთ („საბჭ. ხელ.“).

უცრად. ჩ ა ვ ე ფ ლ ე ღ რ მ ა ძ ი ლ შ ი („ციხკარი“).

როდის შეიგრძნე, თუ შეიგრძნე ტატო ბოლომდი (ვ. გოგოლაშვი.).

ზოგან რაღაც ჩავუმატე, ზოგან რაღაც გამოვაკლე (გ. პეტრ.)

ამ ფორმებში გვაქვს ორივე ის პირობა, რომელიც აუცილებელია მხოლოდობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში -ო სუფიქსის გამოვლენ-

ნისათვის: უმარცვლო ფუძე და ნამყო ძირითადის მაწარმოებელი - ე სუფიქსი.

ამგვარად, ენაში არსებული პარადიგმის გვერდით ჩამოყალიბდა ახალი პარადიგმა:

შევი-პყარ-(ი) || შევი-პყრ-ე

შეი-პყარ-(ი) || შეი-პყრ-ე

შეი-პყრ-ა || შეი-პყრ-ო

მეორე, გვიანდელი, პარადიგმის მესამე პირის ფორმა ფართოდ გავრცელდა და დაიჭირა წინამორბედი (პირველი) პარადიგმის შესაბამისი ფორმის ადგილი (თუმცა დიალექტებში, და ზოგჯერ სალიტერატურო ენაშიც, ჯერ კიდევ შემოგვრჩა -ა სუფიქსიანი ფორმები), რაც არ მომხდარა პირველი და მეორე პირის ფორმათა შემთხვევაში. ასე მივიღეთ დღეისათვის ნორმატული პარადიგმა:

შევი-პყარ-(ი)

შეი-პყარ-(ი)

შეი-პყრ-ო,

რომელსაც პირობითად შერეული პარადიგმა შეიძლება ვუწოდოთ. ამით გასაგები ხდება, თუ რატომ არის -ო სუბიექტური მესამე პირის ნიშნად იმ შემთხვევაში, როცა პირველ და მეორე პირში ნამყო ძირითადის მაწარმოებლად არა გვაქვს -ე სუფიქსი.

სუბიექტურ პირველ და მეორე პირში არსებული პარალელური ფორმები — შევიპყარ||შევიპყრე, გავიცან||გავიცნე — ყალიბის მონაცვლეობის შედეგა. ყალიბთა მონაცვლეობა არ ჩანს დიალექტური მოვლენა — უნიფორმაციის ტენდენციის გამოვლენაა. ყალიბთა შენაცვლება, წარმოების ტიპის ცვლა „მოვ-კალ-(ი)“ ტიპის ზმნათა დამახასიათებელი თვისება ჩანს. ე. წ. „უნიშნო ვნებიანებში“ ეს პროცესა ჩვენს თვალწინ ხდებოდა და ამჟამადაც არ არის დამთავრებული: განვ-ტეფ — გავ-თბ-ი, დავ-შვერ — დავ-შვრ-ი, განვ-ქემ — გავ-ხმ-ი... დავ-თვერ||დავ-თვრ-ი, გავ-ძელ||გავ-ძლ-ი... მაგრამ ავ-დექ (←ავ-დეგ)... ყალიბთა მონაცვლეობა ძველი და რთული პროცესი ჩანს. ტენდენცია სხვადასხვაგვარია. პროცესი უფრო აშკარადაა წინ წასული დიალექტებში. ამ მხრივ ღირსსაცნობია ინგილოური დიალექტის ჩვენება — ნამყო ძირითადის ფორმათა უნიფიკაცია აქ ყველაზე ცხადია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ტენდენციას არა აქვს აშკარად გამოხატული მიმართულება ერთი რომელიმე ფორმის გაბატონებისა: ერთმა კილომ (კაკურმა) ი- ელემენტისანი წარმოება გაბატონა, მეორე კილომ (ალიაბადურმა) — ე- სუფიქსიანი წარმოება. სალიტერატურო ენაში მიმდი-

ნარე უნიფიკაციის ტენდენცია არაა ჯერჯერობით გარკვეული: წარმოების თვალსაზრისით „მოვ-კალ-(ი)“ ტიპის ზმნათა ერთი ნაწილი -ი სუფიქსიან წარმოებას ვაჰყვა (გავთბი, გავხმი...), ხოლო მეორე ნაწილი — -ე სუფიქსიან წარმოებას (მოვასწრე, გავიცნე...).

4. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ პარალელურ, კანონზომიერ ფორმებად წარმოგვიდგენს „დებს“ ზმნის ნამყო ძირითადის მესამე პირში **დადვა**||**დადო** ფორმებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ახალი ქართულის დიალექტებში განსაკუთრებით გავრცელებულია ვ-სა (უმეტესად—ჟ) და ა-ს შერწყმა, რომელიც ო-ს იძლევა (თვალი—თოლი, ცხვარი—ცხორი, გვალვა—გოლვა, სუამს—სომს... იდვა—იდო და სხვა)“<sup>8</sup>. ამ მოსაზრების თანახმად **დადო** დიალექტური ვარიანტია **დადვა** ფორმისა. ამ ზმნის ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირის ფორმად **დავდევი**, **დადევი** ივარაუდება<sup>9</sup>. ამგვარად, პარადიგმა ამგვარ სახეს იღებს:

**დავდევი**

**დადევი**

**დადვა**—**დადო** და, ამდენად იყო ზმნის გვერდით დგება. ამგვარი თვალსაზრისის მიხედვით სალიტერატურო ენაში დადასტურებული **დავდე**, **დადე** ფორმები (ქუდი მანდ დადე და შენ აქ დაჯექი—ნ. შიუკ.) კვალიფიცირდება როგორც **დავდევი**, **დადევი** ფორმათა ვ-მოკვეცილი ვარიანტები. ვფიქრობთ, საკითხის სხვაგვარად დასმა შეუძლებელია.

პირველი და მეორე სერიის ფუძეთა შეპირისპირება საფუძველს გვაძლევს ერთ შემთხვევაში -ებ ფორმანტის, ხოლო მეორე შემთხვევაში -ევ ფორმანტის გამოყოფისას. აქ იმავე რიგის მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაც ვაგებ—ავაგე (←ავაგევ) ტიპის ზმნებთან ივარაუდება<sup>10</sup>. **დავ-დ-ე** ფორმაში ე -ევ ფორმანტის თანხმომავნოკვეცილი ვარიანტია, მაგრამ ამჟამად იგი გაიაზრება, როგორც ნამყო ძირითადის მაწარმოებელი, ისევე როგორც იმ ზმნებში, რომლებიც საფუძველად დაედგნენ „ავაგე“ ტიპის ზმნათა ყალიბს<sup>10</sup>. -ე ფორმანტის ამგვარმა გადააზრებებამ სუბიექტურ მესამე პირში -ო სუფიქსი გაა-

<sup>8</sup> ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

<sup>9</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 536.

<sup>10</sup> გ. გოგოლაშვილი, ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1980.

ჩინა. ამდენად, ძველი პარადიგმის პარალელურად ახალი პარადიგმა ჩამოყალიბდა:

დავ-დევ-ი || დავ-დ-ე

და-დევ-ი || და-დ-ე

და-დე-ა || და-დ-ო

**დადო** ფორმაში **ო** რომ ვა კომპლექსის შერწყმის შედეგი იყო, იგი მოქმედ ფონეტიკურ პროცესად უნდა მივიჩნიოთ, რადგან გვერდი-გვერდ გვხვდება ფორმები **დადევა** და **დადო**. ამ ვარაუდის დაშვებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ხშირია იმავე ნამყო ძირითადის სუბიექტურ მესამე პირში ფუძისეული **ვ** თანხმოვნის მომდევნოდ -ა სუფიქსი, მაგრამ შერწყმა არ ხდება: **დავ-წევ-ი**, **და-წევ-ი**, **და-წვ-ა** (შდრ. დავ-დევ-ი, და-დევ-ი, და-დე-ა)... საინტერესოა ისიც, რომ **დავწე**, **დაწე** **ვ-მოკვეცილმა** ფორმებმა არ მოგვეცეს სუბიექტურ მესამე პირში -ო სუფიქსი: ბოლოკიდური **ე-ს** გააზრება არ მოხდა ნამყო ძირითადის მაწარმოებლად, რადგან ჩვეულებრივ „უნიშნო ვნებიტებში“ -ე სუფიქსი არა გვაქვს ნამყო ძირითადის მაწარმოებლად. **დავდე** რელატიური გარდამავალი ზმნაა და ამ ტიპის ფორმებთან ჩვეულებრივია ნამყო ძირითადის -ე ფორმანტიით წარმოება.

მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, **დადევა** და **დადო** პარალელურ, თანაბარუფლებიან ფორმებად უნდა მივიჩნიოთ. იგივე შეიძლება ითქვას მათ შესაბამის პირველი და მეორე პირის ფორმებზეც.

დასკვნა, რომელიც გაკეთდა **დადევა** და **დადო** პარალელურ ფორმათა შესახებ, შეიძლება გავრცელდეს **მიუზლა** და **მიუზლო**, **დარგა** და **დარგო**, **მორწყა** და **მორწყო** ფორმათა მიმართაც. ყველა მათგანს ნამყო ძირითადის პირველ და მეორე პირში ასევე პარალელური ფორმები მოეპოვება: **დავრგი** და **დავრგე**, **მოვრწყი** და **მოვრწყე**, **მივუზლი** და **მივუზლე**.